სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 7

(გამარტივებული ფორმით)

ქ. ხონი
23/04/2022 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ. „ხონის მუნიციპალიტეტის მადლიერების სახლი“(შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია აკობიძის სახით და მეორეს მხრივ ინდ-მეწარმე ლამზირა ჩანქსელიანი საიდენ.კოდი 27001002687 , (იურიდიული მისამართი) ლენტეხი , სოფ.ხელედი, ფაქტიური მისამართი წყალტუბო,სოფ. თერნალი მე-2 ქ. N 1-ში შემდგომში მომწოდებელი) წარმოდგენილი ინდ-მეწარმე ლამზირა ჩანქსელიანის სახით , ორივე ერთად წოდებული, როგორც მხარეები. 2022 წლის ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში ვდებთ გამარტივებული ფორმით წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე :

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველისათვის პროდუქტების მიწოდებას ამ ხელშეკრულების დანართში მოცემული რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.

შესყიდვის საგანი: (შესყიდვის კოდები)

CPV 3142500 - კვერცხი (ც) - **480** ,00 - ლარი

CPV 15411100 - ზეთი - **850,00** - ლარი

1.2 მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 24/04 / - ის ჩათვლით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **1 330,00** (ერთი ათას სამასოცდაათი ლარი და 00 თეთრი)

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიწოდების ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

3.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შეძენილი საქონლის ღირებულება საანგარისწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშ– ფაქტურა ან/და მიღება–ჩაბარების აქტი) მიღების საფუძველზე, საქონლის მოწოდებიდან 10 კალენდარულ დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორებით

4. მიღება–ჩაბარებს წესი

4.1 ხელშეკრულების ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარისწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

5. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ინსპექტირება.

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი.

6.2 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზაღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლოთ დადგენილი წესით

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსით 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

7.3 ხელშეკერულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა ეცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8. დაუძლეველი ძალა (ფორს–მაჟორი)

8.1 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი მხარის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს , იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ მაგრამ არანაკლებ მომდევნო კალენარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10 . ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 24 მაისის ჩათვლით.

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი :	**მიმწოდებელი:**
ა(ა)იპ. „ხონის მუნიციპალიტეტის მადლიერების სახლი“ ხონი, მოსე-ხონელის ქუჩა N 5 საიდენტიფიკაციო კოდი: 244973212 სახელმწიფო ხაზინა ტელეფონი: 577 627 558 დირექტორი: მაია აკობიძე	ინდ–მეწარმე ლამზირა ჩანქსელიანი საიდენტიფიკაციო კოდი 27001002687 მის.წყალტუბო ,ს. თერნალი მე-2 ქ. N 1-ში სს „ლიბერთი ბანკი“ ხონის ფილიალი კოდი:LBRTGE22 ა/ა GE83LB0112187128524000

შემსყიდველი: *ა(ა)იპ „ხონის მუნიციპალიტეტის მადლიერების სახლის ‘’ დირექტორი - მაია აკობიძე*

მიმწოდებელი *- ინდ–მეწარმე ლამზირა ჩანქსელიანი*

დანართი 1

№	საქონლის დასახელება	საქონლის მახასიათებლები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი/ლარი	საერთო ფასი/ლარი
1	კვერცხი (10 ც. შეფუთვით)	ვადიანი,ხარისხიანი	ცალი	100	4,8	**480**
2	ზეთი (1 ლიტ)	ვადიანი,ხარისხიანი	ლიტ	100	8,5	**850**
	ჯამი					**1 330**